საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაგანა

მდ. მაგანა

მაგანა, მდინარე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ენგურის მარცხენა შენაკადი. სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2460 მ სიმაღლეზე. სიგრძე – 24 კმ, აუზის ფართ. –141 კმ ^{2}. ერთვის მდ. ენგურს ქ. ჯვართან. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 8,1 მ ^{3}/წმ. მ-ის სათავეში, ზ. დ. 2654 მ მდებარეობს ტობავარჩხილის ტბა.

ი. აფხაზავა